

საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება

744 /  
1916/09

გადაცემის 02-4  
F-ის შტაბი

2.



ქართლის საგარეო  
კანცელარია



2.

შინაარსი:

ვაჟიან გაფრინდაშვილი  
 ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი  
 ე მ ე ნ ე ლ ა რ ი ა ნ ი  
 პ ა ე მ ვ ი ა შ ვ ი ლ ი  
 ნ. მ ვ რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე  
 ნ ი კ ე მ ჯ ნ ა ლ ი რ ა ძ ე  
 გ რ გ ვ ლ რ ი ბ ა ქ ი ძ ე  
 ი. ვ. ა ი ფ ი ა ნ ი  
 გ რ. ჯ ა ფ ა რ ი  
 მ ე მ ი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე  
 ა მ. ც ი რ ე კ ი ძ ე  
 ა მ. ჭ უ მ ბ ა ძ ე  
 ტ ი ტ ე ტ ა ბ ი ძ ე  
 ტ ი ტ ე ტ ა ბ ი ძ ე

„ძონძებში“.  
 „შეშლილი ოთახი“  
 „მე და კატა“.  
 „ფარშავანგები ქალაქში“  
 „ზლაპარი“  
 „ავზნიანი ქალაქი“  
 „ვერის ხიდზე“.  
 „ზამთარი“  
 „ოცნება ფირფრისფერი“  
 „ორსული მზე“  
 „მთვარეული“  
 „აეროპლანზე“  
 „ქალღმის ქალაქები“  
 „ცისფერი ყანწები“

უდა ლაღო ჯაფარიძისა.

რედაქტორი პაოლო იაშვილი

## უკითხვები მტრებს.

ჩვენ მოვისმინეთ თქვენი წყევლა, დავინახეთ, როგორ ანთებდით კოცონს ჩვენი მღელვარებით სავსე გულების დასაწვავათ. გვესმოდა ხმები უძლეული და არ სჩანდა თქვენი ხმალი ბრძოლისთვის ამართული. გვესურდა კი რაინდების შეხვერა: გვწამს მტერი რაინდი, მხედარი გზაზე მოთამაშე, რომელიც ჩვენთვის უცნობ და დაშორებულ ბრძოლის ველიდან გამოსული, მოგვიბღავეს სიძლიერით და გადმოგვძახებს პასუხს სასტიკ მაგრამ კეთილარსს. არ ვიცით რა არი თქვენი სახელი. არ ვიცით სად არის თქვენი ხმალი. თქვენს მხეტლარ ყვირილში ვსურთ დაადუმოთ ჩვენი შეურყეველი ხმები, ჩვენი წმინდა ლოცვები. მაგრამ ვინც ეზიარა ხელოვნების უკუდავებებს, მას ვერ შეაშინებს თქვენი ბოროტებით სავსე ზეიმობა. თქვენ გინდათ დასტესოთ მტრობა ჩვენ შორის და მოკრულ ძმებში შეიტანოთ სიძულვილი. მაგრამ ის, ვინც დაადგა ჩვენს გზას მას ვერ აცდება: გზა ერთია, შეიძლება იყოს მრავალი ტაძარი. გვწამს: მოვა წინასწარმეტყველი, რომლის სამლოცველოში შევალთ ყველა დროებით განშორებულნი.

თქვენ გრძნობთ ჩვენ სიძულვილს და არ გვეშორდებით და ვიცით, კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი გარშემო თქვენი საცოდავი ყვირილი.

იყავით თავისუფალნი ოქვენს სიხარულში ხომ ხედავთ ჩვენ სიმწვიდეს, ასეთი ვიქნებით ბოლომდის. ყოველ მხრიდან უხმოვთ სიკვდილს, რომ დაინახოთ თქვენის სისხლიანი თვალებით ჩვენი დაცემა.

მაგრამ, თუ უნდა მოვიდეს დრო ჩვენი სამუდამო დაძინებისა, ჩვენ ვიგრძნობთ დასასრულის სიახლოვეს და ენახავთ თქვენგან განშორებულ ადგილს უკანასკნელი ლოცვების სათქმელად.

ეს არის ჩვენი პასუხი, არა ვრცელი, როგორც თქვენ ელოდით: ჩვენ არ გვიხარია თქვენთან დიდხანს საუბარი. გაგივლით კიდევ ერთხელ, კიდევ დაინახავთ ჩვენს ცივ ღიმილს, რომლისაღ თქვენ ისე გეშინიათ, თქვენ, ჩვენი ყვითელი მტრებო, ფერ დაკარგულნი სიბრაზით და აღშფოთებით, თქვენ, რომელთა სახელი ჩვენ არ ვიცით, და რომელთა მოელვარე ხმაღს ჩვენ ვერასოდეს ვერ დავინახავთ.

სცენარირი ცრფლშა.

გასვენებაზე ჩვენ გვახვედრებს ერთმანეთს ბედი,  
და მხოლოდ მაშინ ჩვენ ვუცქვრით ობლათ ერთმანეთს.  
მას ძაძითა აქვს შემოსილი თვალები, ტანიც;  
და იგი მუდამ ძვირფასია, ვით შავი გედი.

სასაფლაოდან დაიშლება მრავალი ხალხი,  
და იგი ჩემთვის უგზო უკვლოთ დაიკარგება...  
სიჩუმის ფრჩხილით ოცნებაში კვლავ იკარგება  
მისი ღიმილი დაბინდული, შვენება თალხი.

და მოუთმენლად ახალს ველი მე გასვენებას,  
არ ვიცი რატომ და გვაერთებს სიკვდილი მხოლოდ.  
მწყურია მუდამ მიცვალეზულთ ვიყო გამყოლად,  
რომ უცნობ ქალის ვეოცნებო ნარნარ ჩვენებას!

შალალი მთვარე.

იქნება წუთი—მთვარისაგან დამეველება  
გრძნობა სათუთი, მოთმინება გულდამსწრაფი,  
ქალწულ სხივებში უცნაურო, ნახი წვალებს,  
ძალღების გარდა ვერ შევხვდები გზაში ვერავის.  
ამოვა მთვარე, გამათეთრებს თავისი პუდრით,  
და შეშინდება ჩემი ლანდი, სნეული ლანდი.  
„ოქვენ ვარსკვლავებო, შემობრალეთ, დამისაკუთრეთ,  
მე ვარ პიერო, მე ოცნების ვარ ფალავანდი!“  
მივდივარ მარტო და ლანდია ჩემი მხლებელი,  
მას თავის რკალში ჩამიმწყვდიოს უნდა ყოველთვის,  
შუა გააპო ჩემი სული ხელუხლებელი,  
და ჩემზე აღრე დაჟინებით სამარეს ელტვის!  
და ხშირად სარკეს ის ცბიერად შემომამარებს,  
—უნდა ვუცქირო ტანჯულ სახეს, ანგრეულ სახეს,  
მე ის ძილის დროს კომმარების ბალიშს მაფარებს,  
მათრობულ ცქერით წყლის მინიდან მე ის მეძახის!  
მაგრამ ეს მთვარე თვით ორეულს ტკბილად ანახებს,  
და მე ნიაფში შელანდება ბედი ახალი:  
მივდივარ ისევ გაბედულათ და ვარღვევ ხაზებს,  
ცაში ზეიმობს და დარაჯობს მთვარე მაღალი.  
ქალწულ სხივებით ვავიჭურნავ ჩემს ფარულ სენებს;  
(ღამის ჩრდილები ამმართენ შეფოთილ მესრად...)  
მივეყები მთვარეს და არ ვიცი სად მოვისვენებ,  
მთვარეულთ ბაღში გავიღვიძო მინდა უეცრად.

სიწვი.

დღეს კლავიშები დაუფარავს მთრთოლვარე ტილებს.  
როცა თითები, როგორც ნაზი ამორძალები  
იწყებენ ჯირითს რუხ მინდორზე, მათი რკალები  
უკანასკნელად აკენისებენ ცოცხალ წერტილებს.

ღრუბლიან ნოტებს დადუმებულთ და დაფერდილებს  
ამღვრევენ ისევ ფერწასული შენი თვლები.  
—სცივია ტილები ნოტებიდან და მოკრძალებით  
მათი წკარუნი ესალმება თითების ჩრდილებს.

მაღალ კუმბოში გააღვიძებ შეშანს და ვერდის,  
კრთის, როგორც უცხო ყელსახვევი ღანე ხავერდის.  
და კვიპაროზთა თალხი აუნდა წყვილიადობს ბაღში.

როს გათენდება, მე შემოვალ შენთან ოთახში,  
მე დაგიკოცნი ცოდვილ თითებს—ტილების მკვლევებს,  
და მზე მეფური შენს ბაგეებს აამეტყველებს!

ბონძეში.

მგზავრის ძონძეში, ცივ ღამეში, გათბება ყვაფი  
პაოლო იაშვილი.

ჩავიდა მთვარე ღმობიერი, ზანტი, კეთილი,  
და დამეიწყა თვისი მკრთალი პატრონება.  
ქალაქს გარეთ, სად ძონძეების მთა დაფლეთილი  
ამაყობს შვად, მე მიძახის ჩემი ოცნება.  
მოვდივარ ჩუმაღ—ქვეყნისაჯან დასაფარავად,  
და ვყნოსავ ჰაერს, ყვევილების სუნით დალორწილს,  
და ის ძონძეები მიმზადებენ მე—ღამის თავადს—  
ყრუ პარტოობის და წყვილიდის საყვარელ ქორწილს.  
დღიურ სხივებით კვლავ დაკაწრულს, ხმობით ნაწამებს,  
მწყურია ღამე, ვით ქარვისფერ წმინდანს უღაბნო;  
ვეტრფი სიჩუმეს—თავის ძახილს ის გაასამებს,  
რომ აცრემლებულ მუწუკებით გზა დაეუდაფნო.  
დავეძებ იღბალს მე ძონძეში, ვით მათხოვარი,  
გულში ვიხუტებ ჩვრებს დახეულს, ბინძურს, მატლიანს,  
ძონძთა ჩვენებას დავეწაფე—ხარბი მწოვარი,  
ვიცი, მარადი ჩემი სევდა მოსანათლდა!  
ყორნებისავეთ დარაზმულა ნაფლეთთა ზოლი,  
თავის აკვანში ჩამაწვენიენ რბილი კლანჭებით;  
სახრჩობელაზე უტკებნია ჩემი საწოლი,  
და არასოდეს აწი აღარ დავიტანჯები!  
ჩემი საღამი შავ ნაფლეთებს—სულის სასწორებს!...  
მე მიანდა მოვეკვდე ამ ძონძეში, რომ სამარეზე  
ძაღლების ხროვა მგალობელი სძიძენიდეს ძორებს,  
რომ ჩემ საფლავში ვიოცნებო დამპალ მთვარეზე!

შეწლილი თთახაი.

ჩემი ოთახი გაიზარდა შესანიშნავად—  
და აღარ ჰყოფნის მას ჰაერი ესოდენ მცირე;  
ჰყვივის: „ჰე ლამევ, მგონი კმარა რაც დამამცირებ,  
დღეს პასაკში ვარ, მოვემზადე დასანიშნავად!“

ჩემი ოთახი გაიზარდა შესანიშნავად!

ნესტიან სარკეს დაუბრუნდა ძველი სინაზე;  
შიგ მოსჩანს ჰუნე და ჰუნეზე—შის ამორძალი;  
დახატულ მწვემსმაც მოიმარჯვა ხელში ორძალი,  
რომ მკვდარი მუმი გააღვიძოს ლამპრის შინაზე.

ნესტიან სარკეს დაუბრუნდა ძველი სინაზე!

წიგნის რაფაზე ამბოხი აქვთ დახეულ წიგნებს.  
ფანჯარამ ტანზე შეიგლიჯა წყლისფერი ფარდა,—  
ფარდის ნატები ცად ავიდა, ცად აფარფარდა  
და მღერის სიო: „ჩვენ მზეს ვეძებთ! ჩვენ მზე შეგვიგნებს!“

წიგნის რაფაზე ამბოხი აქვთ დახეულ წიგნებს!

ჩემი ოთახი რარიგ ჰყვივის! რა რიგ გაზრდილა!  
ვიწ! აღარ ძალუძს ამ შევეთში მას ყოფნა ასე,—  
მალე გმეწვევა მზე ცისკრული, მზე მოკისკასე  
და შავ ოთახზე ჯვარს დაიწერს მოთეთრო დილა.

ჩემი ოთახი რა რიგ ჰყვივის! რარიგ გაზრდილა!

ფერადი სლანჯი.

მომღერავ თავაღს მე ვიგონებ ნაზი ზმანებით.  
წაიღო კოცნა და ნაწილი ჩემი პერანგის;  
ყველას გიყვარდათ,—სიყვარული მეც დამანებეთ...  
მე მოვიტანე ელვარება ფერადი ჰანგის.  
და ჩემ ცელქ ფეხებს ენატრება რკალი უზანგის,  
არავის კოცნას არ ვიგონებ მე დანანებით;  
მე გამეხარდა ვალიმება ბავშური ზანგის,  
ყვითელ ქაირში რომ ვაჭრობდა მკრთალ ბანანებით.  
მე ერთი ვნახე და ველარ ვსთქვი თამაში „არა“.  
და მომეწონა, რომ მფარავდა მე ოქროს ბადე...  
მე მიხარია ბნელ თვალებით რომ დავიბადე,  
რომ ბედში ვცხოვრობ და ტრფობისთვის მაინც არ კმარა...  
თეთრი თავადის დაბრუნება მე თრთოლვით ვცადე,  
ავტირდი ჩუმად, როცა რაში ტყეს მოეფარა.

მე და კაცა.

ხშირია სიჩუმე ოთახის სტუმარი,  
წვიმის დროს მოვა და დილამდის დარჩება,  
ბუხართან კატა ყოველთვის მღუმარი...  
ცისფერი ოთახი წითლად იფარჩება.  
მივიღივარ ბუხართან; რა მინდა! რა ვიცი!  
ელავენ, თბებიან ტიტველი ფეხები.  
მე არ შემიძლია, მე მარტო დავიწვი,  
და ფეხის გულებით კატის ზურგს ვეხები.  
და ისევ ზმორება, ვნება უწინდელი,  
კატასთან თამაში და თრთოლვით ხუმრობა.  
ძვირფასმა მაჩუქა გამხდარი ცინდალი:  
მე მიყვარს ზამთარში სიჩუმის სტუმრობა.

ელაქულავის შაისანი.

ავსწიე ფარდა, და მაისმა აკოცა მინას,  
ვინც მე მიყვარდა ის ჩემთან არი და ჩემთან სძინავს,  
ვაკოცებ ხელზე, როგორც წმინდანს მე დავკოცნი მას,  
და სხვა სახელზე მე დავიწვიებ მერე ოცნებას.  
და მორიდებით, კოცნას ვმაღავ მე იმის თმაში  
და ძვირფას ქვებით მომიხდება მერე თამაში.  
ზურმუხტს და ლაღებს, მოვიფანტავ ტანზე ძვირფასათ,  
დავხუჭავ თვალებს: მეყვარება მაისის მზგავსათ.  
კოცნით გამთბარი, სიხარულში გავიწმინდები;  
იღვიძებს ქმარი, რომ ჩამაცვას თეთრი წინდები.  
ძვირფასი ქვები, ჩვენს საწოლში დაიფანტება...  
მე ვკვდები, ვკვდები—მისი ხელი მეკრღს ელანდება.  
შიშით ვიკანი:—რომ მაისი გაგვითენდება  
და ჩემი ტანი სიყვარულში დაითენთება.

ცნობცისა.

მაღარმე.

ის იყო თეთრი თავხარილი და ოქროპირი,  
 ჟუცხო სიტყვები ვით გედები მან აღიდა.  
 მისთვის ოცნება იყო მკაცრი იროლიადა,  
 და იყო მართო სილამაზის ძვირუასი გმირი.  
 როგორც სტუმარი სხვა ქვეყნიდან მოსული, ძვირი,  
 უსხივო ხალხში სხენაირად ის დადიოდა,  
 ლვთაებრივ ხმებში ზამბახმები თეთრად სცვიოდა,  
 შორს არი მისი ოქროს ქვეყნის წმინდა ნაპირი.  
 თოვლზე დაფანტულ ძვირფას ქვების ზემაქებარი!  
 სიმახინჯეში მან შენიშნა მხოლოდ კეთილი.  
 ის იყო ბრძენი, ერთადერთი, გაუგებარი  
 როგორც „სონეტი“ თეთრ სხივებში გამოკვეთილი.  
 და ჩენი ქებაც სილამაზის რომ გათამამდეს,  
 ოქროს ტაძრებში ლოცვების დროს მაღარმე გვწამდეს.

ჟატაუნ.

ჟებელურ ვერლენს დასცინიან ჩენს სამეფოში,—  
 მე შორიდებით მის ყვითელ თამებს სხივს დაფუნდნი.  
 იმის დანახვას ვერ ბედავდა ბრწყინვალე დენდი,  
 მე კი ლოცვები ამოვკრიფე მის წამებაში.  
 ვერლენი! ბოლღერ, და მაღარმე! ამ სამებაში  
 მე ყველა მიყვარს... მაგრამ ვერლენს თრთოლვით ვისმენდი,  
 მას სწამდა ლამე, ეკლესია, მღვრი აბსენტი,  
 სნეული ღმერთი ეძახოდა დაღამებაში.  
 მან მეფობასთან შეფერთა მათხოვრის ბელი.  
 ცხოვრობდა როგორც დიდ ქალაქის ავი ლეგენდა.  
 ბნელ ოცნებაში დასცურავდა მათისს გელი.  
 წავიდა ისე, რომ მათისი არ გაუთენდა.  
 მას, როგორც მოწმე უკვდავ ყოფნის და დიდებისა  
 აღგია ძეგლი მარმარილოს სონეტებისა.

ჟარპარნ.

შენი კივილი მკვეთრია ვით ცნელი შურდული.  
 შენს სასახლეში ყვეფს წითელი საშინელება,  
 ქვარტილიან ბაღში აღტაცება არ გეძნელება,  
 შენ ხარ მხედარი შეშლილი და გზა დაბურდული.  
 საღრჩობელები, კვამლი, სისხლი, სახე ქურდული,  
 მშვირთა ურდო, რკინის კენესა, მზის დაბნელება.  
 ვეობარნი! ვიღრჩობით! ცეცხლის ზღვაში რა გვეშველება.—  
 ოცნება ოხრავს ვით ფრინველი ფრთა დასუდრული.  
 ო! ეგ სიჩუმე! აწი ვინა შეგედარება!  
 სილამაზისთვის საშიშია ეგ მღუმარება!  
 მშვენიერებას მოველნა დღე ნისლიანი:  
 მიგასვენებენ თეთრი დები სიჩუმის ნავზე...  
 შენი არღილი იმართება ვით სისხლიანი  
 და საშინელი ქანდაკება ქალაქის თავზე.



არე დავგეშეთ მოკალით სივრცე.  
ჟამი განვდევნეთ საბურნავიდან.  
თვითვე ვართ ბოლო და დასაბამი  
ღროს გავუსწართ, ველარ მოგვწვდება  
თმაშევერცხლილი მწუხრის დაისი.  
— ვინა ვართ, ვინა: ღმერთი თუ ღემონი?  
სისინებს. მიჰქრის.

ზვიროთობს. ჰქანაობს.

ნუ მკითხავ, ვინა ვართ!..

ნანობს გრძნობა მზის მწველ დისკოს ქვეშ—  
მისკენ—მზისაკენ!

სულ მალლა, მალლა.

ის მოგვანიშებს ნანატრ სრულყოფას.

მიეც სადავე, აღმართე აფრა.

აუშვი ჟინი უტუხი სრბოლის,

მივყვეთ გულისთქმას.

რად გვინდა ზოგვა—ნამჩახი რიდი!

დაგვასამაროს თავდავიწყებამ.

ერთია მხოლოდ ბედნიერება:

მისი სახელი—ჯანსაღი ვენება!

— კვალად გცემს სუნი დღემიწისა?

— ჰა, ჰა, ჰაა... ტალახის გუნდა,

მაკინცველთ ბუდე, სად ჩაიკარგა?!

დაინთქა საზღვარი.

ლტოლვა გარგოლდა.

მიყუჩდა ტკივილი,

ნალვლი ორობის.

— სადა ხარ, ჩემო?

— ერთი ვართ, ერთი—

ვინ სთქვა: შენ და მე!

ერთიქმნა სული. ხორცი შეწვევდა

ორმაგი გრზნებით იშვა ერთარსი.

ორნი ვართ ერთი: შენ და მე.

— მალლა და მალლა, ცის ზენიტისკენ!

— ვინც შეგვათვისა, ისვე დაგვარჩენს!..

საქედახრილი, აფრააშლილი

მიჰქრის მანქანა უწყვეტის რკალით.

ანცი ლიკლიცითა ნაბუღვიალივით

კრთიან პლანეტნი ჩვენს ფერხთა ქვეშე

და სასწაულებარ ჩვენც მათ სვლას მივდევთ,

ერთი დავგედვა ყოფნის კანონი:

უთვალავ სფეროს, სანაქსრიალში

გამოიხატა ჩვენი ორბიტოც და...

თვალმოშპრელი სრბოლა-კაშკაშით

იწყო სრიალი ახალმა სფერომ

აწ არსებულთა წონასწორობით...

ვარსკვლავთ მრიცხველთა მას უწოდეს უცხო სახელი,

რომელიც ასე ითარგმანების:

მძლე სიყვარული.

„დასაყურა ყანწუბაი“.

1.

„ცისფერი ყანწუბით“ იწყება ახალი პერიოდი ქართულ მწერლობაში. ჩვენი ტეზისი, რომ სიმეოლიზში, როგორც შკოლა, არ ყოფილა „ყანწუბამდი“, უდავოდ მიიღეს. აქ გასაკვირია დათანხმება კი არა, უფრო ის გაუგებრობა, რომელიც უფინ არსებობდა ამ საგანზე. ახალი შკოლის გამოსვლა, ყოველთვის კანდიერებაა; რაც უნდა ჟიმედით ძველი იყოს ძველი, იმას უნდა სიტყვად და უკანასკნელად მაინც ითამაშებს ბრძოლის კომედიას. ხანით ხანამდე გამეორდა ამბავი, რომელიც წინ უსწრობდა სიმეოლიზმის გამოსვლას სხვა ქვეყნებში. რემი დე გურმონი გვარწმუნებეს, რომ ბრბო, ყოველთვის აპატიებს კანდიერებას, თუ უკვე არი პრეცედენტები ისტორიის ოქმებში ჩატანილი, მაგრამ ქართული ბრბო გაიჩივდა სხვისგან იმით, რომ ნაკლებად იცნობს ისტორიის ოქმებს, სამაგიეროდ სხვა თვისებები, რომელნიც უფრო ახასიათებენ ბრბოს, იმას ზედმეტად აქვს. თავდაშვებულ წყევლაში კიდევ გაისმა საგინებლად სახელები, რომელთაც უკვე მოასწრეს სხვაგან წმიდანებათ ვახთომია. რა ანაქრონიზში ჰქრის იმიდან, რომ ვერლენის, ბოდლერის და სტეფან მალარმეს სახელებს კიდევ სჭირია დაცვა!.. ბრძოლა „ყანწუბის“ წინააღმდეგ საგანგებოთ გადატანილი იქნა სულ სხვა სივრცეზე. სიბრძნევე მოკლა ხელი და გაუშვა ჩვენ წინააღმდეგ ფრთიანი სიტყვა „ფუტურისტობა“, ამ სიტყვას კი ისე ქონდა გაძრახული სახელი, რომ იქცა იმ ქვად, რომელიც ლამობდა ჩვენ წაქცევას. რასაკვირველია ჩვენ ყოველთვის გვექონდა მხედველობაში, რომ საქართველოში სიმეოლიზმი გამოდის. მაშინ, როცა ის სხვაგან მებრძოდ შკოლიდან უკვე შეიქნა აკადემიური, რომ მისი მწუხრი იგრძნეს თვითონ ეპიკონებმა, და ახლა გამოდის ახალი შკოლა ფუტურისტის. მაგრამ ეს ვარემოებას სრულად არ სცვლის. ვაკვირით ჩვენ პირველ წერილში შევხვით ჩვენ განწყობილნი ფუტურისტთან, როცა შევავერთ სახელები რუსთაველის და სტეფან მალარმესი, უკანასკნელის, როგორც ჯერ გაუხსნელ ფორმულების ავტორის. ევროპის ფუტურისტში განაგრძობს მალარმეს. იქნება ეს გაღრმავება სიმეოლიზმის თუ დაწყება ფუტურისტის სულ ერთია. აქ კომენტატორი ღირს ნოვატორად. ერთი კი ყოველთვის უთუოა: ფუტურისტში ვერასდროს ვერ ვტყვის უარს იმ კულტურულ და ეტეტურ მღწევართ, რითაც გაამდიდრა სიმეოლიზმმა აზროვნება. მართალია ევროპის ფუტურისტის მიმართ უნდა ფრაქცია ჰქონდეს იწყებს ნგრევიდან, მაგრამ ის იმდენად ელასტიურია, რომ არ დაგაეჭვებთ ახალ ღირებულებათა შექმნაში. ყოველ შემთხვევაში, იმგვარი განწყობილება და გაგება ამის, როგორც არსებობს რუსეთში და ამიტომ ჩვენშიც. სრულიად მოკლებული არის ნამდვილ სახეს. რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას რუსულ ფუტურისტთან, ის ისეთია, როგორც რუსი სიმეოლიტების. ჯერ-ჯერობით, თუ შეიძლება მისი კვალიფიკაცია, ის ერთი სახეა იმ მრავალ-მხრივი მოვლენის, რომელსაც რუსული სინამდვილით ეწოდებდა „ხულიგანობა“. ჩვენ არ ვიცით არაფერი იმაზე უფრო უბადრუკი, როგორც მათი იდეალოგიაა. ძალიან დამახასიათებელია ისიც, რომ რუსეთის ფუტურისტში თავის გენეალოგიას იწყებს ნიპოლისტ ბაზაროვიდან. ყოველ შემთხვევაში ეს ექვსი წელიწადი, რაც რუსის ფუტურისტები მწერლობენ არ გვაძლევს საშვებებს, რომ იმათზე აზრი გამოვიკვლოთ. ზოგიერთი ნიპოკერი ახალგაზრდა არ არი მისაღები მხედველობაში. ისინიც მოკლებული არიან ორიგინალობას, მათი დაგვიანებული გადამღერება რემბოსი და დაფორგის, მხოლოდ რუსის სიმეოლიტების დანაკლისს აჩვენებენ. ამასთან ეს იმდენად პირადული უბედურება არ არი, როგორც ნაციონალი. ხოლო ამის მაშინ, როცა შევიხებთ რუსეთის სიმეოლიტებს...

2.

ცისფერი ყანწუბი შეეძლო გერბად აედო მთელ ქართულ ხელოვნებას. ეს სიტყვები სიმეოლიტურად ანიშნავენ კემმარტ ქართულ მსოფლმხედველობას. „ცისფერი“ ფერია რომანტიზმის, მისი ენბლმა. ნოვალისმა გამოიტრია მისტიკა ცისფერი ყვავილის. ეს ყვავილი ატირება არჩეული სულის შორეულ ნათელ ქვეყანაზე. ფილოსოფიურმა იდეა-

ცხმა იმაში ნახა გამოსავალი. საქართველოში „ცისფერ ყვავილს“ ღერო წითელი ქონ-  
სი ქართველებისთვის ცა და მიწა საშუალოდ არასდროს არ გაყრილან. უწინ ჩვენ ვიყა-  
ნით წარმართები—ხოლო რელიგიური გეტერიზმი შორს იყო ჩვენგან. მრუშიან, ორგა-  
ნულ აზიდან, რომელშიც დაიხრო ალექსანდრიული შკოლა ჩვენ მაინც მოვახერხეთ  
ხრწნელად თავის დაღწევა. შემდეგ ჩვენ შევიქენით ქრისტიანები, ხოლო მისი ასკეტური  
ქოლოსოფია ჩვენგან შორს იყო, ჩვენ დაგრიტო-ასევე წარმართები, შეიძლება იმით, რომ  
ქრისტიანები ვიყავით ქრისტიანობამდე. ჩვენ სული უსუსულოდ ვერ წარმოგვედგინა და  
ახელი კიდევ უსუსლო. გულგრილად ვუცქეროდით ბიზანტიულ ბერებზე დოგმატიურ  
ტურნირს და გულგრილად ვუცქეროთ ახლაც მატერიალიზმის და იდეალიზმის დუელს. შეი-  
ძლება ჩვენში კიდევ მოხდა ის ფაქტი, რომელზედაც სხვაგან ქადაგებენ ნეოქრისტიანები.  
ჩვენში უკვე შეირგდნენ სული და ხორცი და ეს არი მესამე აღთქმა, ახალი სულის აღთქმა.  
წარსულში ყველაზე უფრო პლატონი გვიყვარდა და სიყვარული საქმიანაც დავამტკიცეთ,  
ამაზე ამბობს რუსთაველი შემდეგ თილოსოფიურ სისტემებში მხოლოდ ნეოპლატონიზმი  
ვიწამეთ და აგრეთვე იყო რისთვისაც; უკანასკნელი აღთქმა სიკვდილის წინ სოკრატის,  
მისი ზნაება მუსიკაზე და შემდეგ მისი საყვარელი მოწაფის აპოლოგია მუსიკაში შვების,  
ჩვენ ყველაზე ახლი მივიღეთ სულთან.

—ქვიანური შვება ხალხთა, აი სახელი კულტურის, ამბობს ვიარჩესლავ ივანოვი. მის პირზე  
ამ სიტყვებს საშინელი ირონია ეძლევა. რუსული ხელოვნება ჯერ კიდევ მარხულობს და  
მშუბარებს იოანესავით.

—ხალხთა ქვიანური შვება.

...და იშვა ქართველი გერი.

მისი ხელოვნება ერთი გამწევი ნადიმია. ხშირად იყო ეამიანობა და თავზე გვაზეავდე-  
ბოდნე ვვითელი ურდოები, ხოლო ქართული ხელოვნების ნადიმი, არასდროს არ ყოფილა  
„ნადიმი ეამიანობის დროს“, სიდაც თამადათ არი სასაწყარკვეთა.

რუსთაველის ქებას მძღე სიყვარულისას საუკუნოებში ეხმობოდნენ თეიმურაზი, ზესიკი, ალ.  
ქაქავაძე... და შემდეგ ვაჟ ფშაველა, ეს სასწაული და სიმბოლო უკანასკნელი საუკუნის,  
ცეცხლიანი ჩვენება საქართველოს მარადი სულის...

3.

ქართული ხელოვნების საკითხი—საკითხია ქართული კულტურის. ბერს საუკუნეოა წინ იწყე-  
ბა მისი ისტორია და შეიძლება ეს მათუხალობა იყოს მიზეზი, რომ ის სათანადოთ არ  
არა შესწავლილი. ის შემთხვევითი ცნობები, რომელნიც დავიტივებს ძველმა რომაელებმა  
და ბერძენმა მწერლებმა, რომელთაც ჩვენ შევხვდებით აგრეთვე საკუთარ ქრონიკებში და  
ესაო მეცნიერთა ნაკვლეებში, მხოლოდ დაახლოებით წარმოგვცანს გვაძლიერენ ჩვენ სა-  
ხე ე. ქართული კულტურა ჯერ არ შექმნილა სავნათ შედარებით მეტოდით ძიების. რა  
შეკავშირება ჩვენ მეზობლებთან, ან რითი გავირჩეოდით მათგან... მეტიც. ჯერ არ არი  
შეწავლილი უკანასკნელი საუკუნეც კი ქართული მწერლობის. როგორი იყო მისი განვი-  
თარება, რა დამოკიდებულება ქონდა რუსულ მწერლობასთან ან და ძველ ქართულ ხელო-  
ვნებასთან, რომელსაც ქონდა, როგორც თავის სახე, სტილი, აგრეთვე თავის ფოლოსოფია.  
ამი ზომ ძნელია ხელმძღვანელობა კრიტიკულად სრულიად შეუსწაველი მასალით. ძველი  
ქართული მწერლობა იწყება რუსთაველით და თავდება ბესიკით. შეიძლება ეს ისტორიულ-  
დრო მართლად არ იყოს. შეიძლება რუსთაველს წინამორბედებიც ყოლოდას და ზესიკის  
შემდეგაც არ მომკვდარიყოს ძველი ქართული მწერლობის სული. ამას მნიშვნელობა არა  
აქვს. აქ მხედველობაში მისაღებია მათი შემოქმედების ინტენსივობა, ამ ორ პოეტში საქარ-  
თულომ შეკრება მთელი თავისი მხატვრული ენერგია. რუსთაველმა უარყო ბიზანტიური  
ესტეტიკა, ეს უმჯობა რუსთაველის მტრებისთვისაც, ამაზე საკითხიც არ დასმულა. რუს-  
თაველის ლექსი, როგორც ადუღებული ფოლადი, როგორც პირველი სიმღერა თავაწყული  
ღრს ბებერი ბიზანტიის ვერ დაენათესაება. რუსთაველს პირი აღმოსავლეთისაკენ აქვს და  
აქ დან მოიტანეს იმაზე იერიშები. ყოველი ძიება რუსთაველის ორეულის აღმოჩენის,  
მხოლოდ მეცნიერულ აზრებით თუ აიხსნება. ის ვინც შეისწავლის რუსთაველის ლექსს,  
ვიც იგრანობს მის შემოქმედების ენერგიას, მიხედება მთელ ენერგობას მისი გვირგვინის  
მისნისას. რუსთაველიდან მართო პროლოგი რომ დაჩვენოიყო, შემოქმედი კრიტიკი

იქიდანაც იგრძნობდა გენის სუნს. ანალოგიურ შემთხვევაში ეგრძობდებოდა ბობის ინონკენტი ანენსკი:—უნდა წარმოიდგინო თავი კოტათი მაინც პოეტად, როდესაც პოეზიაზე ლაპარაკობ, მათეულები ამ ხელოვნების ძლიან ფაქიზია და სასაცილოა ღრუბლების შეკრდის იქით ფერადების ძებნა...“

„ვეფხისტყაოსანის“ პროლოგში საფუძველი ყურება ქართულ პოეტიკას, რუსთაველისათვის შიორიბა სიბრძნის ერთი დარგია „საღვთო საღვთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარჯობა... ამ ტექსტს ბევრი ინკვიზიტორული კომენტარია მიუღია, მაგრამ უბრალო გრამატიკული და ლოგიკური ანალიზი გულისხმობა, რომ რუსთაველისთვის სასწრაფოდ მარგებლობა მოკლებულია იმ ვულგარულ გაგებას, რომელიც მისცეს მას უტილიტარისტებმა. ესტეტიკაში უფრო საგულისხმოა, რომ რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკისას ლექსში, რაშიც ის ხედება რეგარ ზოს და პოლ ვერტენს. რუსთაველის შემდეგ უდიდესი პოეტი იყო ბესიკი, თუ რუსთაველი თავის საგმირო მოტივებში იწვევს ანალოგიას ელინიზმის კლასიკურ პერიოდთან, ბესიკი აღექსანდრიული შკოლის პოეტი.

ბესიკის ლირიკა—ლიტურგიაა შეყვარებული გულის და საქართველოში გული უსულოდ არ იყო. აღმოსავლეთის ორგაზში და აფორცობა ბესიკში შეყენებულია ქართული კეთილშობილებით. ბესიკი ავძებებს რუსთაველის პოეტიკას. არ არი სხვა პოეტი, რომელსაც ისე გავწიბობს ლირიკული ტემა, როგორც ბესიკს. მისი ლექსის კულტურა, მისი რითმის სიმდიდრე, მჭრელი ეპიტეტი, ნაჩდილთა, ნიუანსების გამოხმობა, ენის მუსიკალურ ნერვობა ჯადოქრობა იმას აიყვანს ქართულ სიმელონიზმის მამათ-მთავრად, როგორც ფრანგმა სიმელონიკებმა—აიყვანეს ონსარი და რუსებმა თ. ტუტჩევი. თუ რა სიტყვის ჟონგლერი იმალებოდა ბესიკში ეს იქიდანაც სწანს, რომ ბესიკმა დაასწრო ტეოდორ დე ბანვილს ეთქვა: პოეტისთვის ყველაზე უფრო საინტერესო წიგნი ლექსიკონია... ბესიკი ცხოვრებაზე საქართველოს აგონიის დროს. ბევი და მათ შორის პლატონ იოსელიანი უსაყვედურებს იმას ჟამიანობის დროს ნადიმს და სიყვარულის ქებას. გასაგებია საყვედური პედანტის, მაგრამ შეიძლება ამაში იმალებოდეს ძვირფასი ჩვეულება ქართული პოეზიის, ბესიკისგან პოლიტიკის და პოეზიის სფეროთა გაყოფა, მით უფრო დასაფასებელია, რომ ის იყო კანცლერი იმერეთის მეფის სოლომონის და დაიღუპა დიპლომატიურ მისიის ასრულების დროს ქ. ახსაში, მაგრამ შეიძლება ეს უფრო მომასწავებელია

4.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ხდება უკანასკნელი ტეხილი ქართული პოლიტიკური ცხოვრების, რომელმაც განსაზღვრა მთელი შემდეგი ყოფნა. საქართველომ დაკარგა თავის სახე, როგორც სახელმწიფო. ამ დღიდან ყველი დღე თითო ლუსსპანს უმატებს მის კუბოს. თანდათან მტკიცდება რუსეთის გავლენა ქართულ საზოქალაქო ცხოვრებაზე. ძველი ქართული სული, ჯერ მძღავრობს, მაგრამ აღდგომის მაგიერ იფერფლება. ლიტერატურის ისტორიის უმთავრესი ხაზები ამ მდგომარეობის ასე წარმოვიდგება. საუკუნის პირველ ხახეარში გამოდის შკოლა, რომელსაც ევროპულ კლასიფიკაციით რომანტიზმი ეწოდება. ქართული რომანტიზმის „ციფერ ყვავილს“ ღერა წითელი აქვს. ეს ნიშანია ძველი ქართული პოეზიის ტრადიციების. ერთი მხრივ ქართულ რომანტიკოსებს ეტყობათ გავლენა ევროპის და რუსეთის მწერლების: ბაირონის, შატობრიანის, პუშკინის, მეორე მხრივ ძველი ქართველი პოეტების, ყველაზე უფრო ბესიკის. ქართულმა გავლენამ სძლია უცხო გავლენას. მხოლოდ შორეული ელვით გაიარს აქ მელანქოლია. რომ წარმოიდგენთ ბაირონის ამბოხებას, მის უსახლგრო სევდას და დემონიზმს, ლეონარდის და მიკევეიჩის პესიონიზმს და მისტიციზმს, მიხვდებით, რომ თ-დი გრ. ორბელიანი, ალ. ქავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი სხვა და სხვა პოლიუსის ხალხია. ალ. ქავჭავაძეში ტირის ძველი აშული. მისთვის მგრძნობლობა სჯობს, „ყოველთ თვისებათ, ცით მოგლენილთა“ „ლოთებში“ ის იძლევა შედევრს, რომელიც რჩება ქართული ნადიმის რიტუალის აუცილებელ საგნათ.

ვისაც თან გქონდეთ ნუბა გუდას,  
ავგუეთ სიტკობა საყვარულას.

ეს გამოძახილია საუკუნეებში ქართული სულისა. გრ. ორბელიანი სამუდამოთ დარჩა დატყვევებული საიათ-ნოვას გულდამწველი სიტყვებით. მის პოეზიას ისე არაფერი არ ახასიათებს. როგორც „ლოპიანას მუხამბაში“. ნ. ბარათაშვილშიც გამოკრთის ბესიკი. მთელი წყება მისი



შემდეგი წერილისა, სადაც შედარებით გარკვეული იქნება პოლონური მესიონიზმი და ქართული პატრიოტული ლირიკა. ამ დღიდან თანდათან მაგრდება ჩვენში გავლენა რუსული ხელოვნების, რომელსაც შორეული კავშირი ქონდა ნამდვილ ხელოვნებასთან და არაფერი საერთო არ ქონია კერძოთ ქართულთან. ჩვენ უარს არ ვყოფთ „მესამოციანეთა“ მწერლების საზოგადოებრივ დამსახურებას, მაგრამ იმათ სამაგიეროთ არ აქვთ ესტეტური დამსახურება. თავიანთი გაადვილებული ორთოგრაფიით იმთადამარხეს ქართული ლექსი. ეხლა უკვე არ არის ბესიკის მოწინააღმდეგე და სიყვარული რიტმის და ფორმის, ლიბერალური აზრი ითვლება ლექსის სამკურალად და აკი, გრ. ორბელიანიც ჩაითრიეს ამ ტურნირში თავის „მეშა ბოჭქელაძით“. მხოლოდ აკის სული იფეთქავს კულტურული ატავიზმით ვაჟა-ფშაველასში. ვაჟამ გაიარა მთელი რიგი რუსულ შკოლათა ვაგლენისა. მაგრამ მისმა გენიალმა ბუნებამ სძლია ეს შხამი. მართალია მისთვის არ იყო ლექსის ტენიკა და ხანდისხან ნაჯახით დათოლო წარმოადგენას ქმნიდა, მაგრამ იმაში იყო ძველი სული და ის მაკეთრად იღვიძებდა, როცა შეეხებოდა ქართულ ეპოსს. ვაჟა დიდი პროტესტია ძველი საქართველოსი და მთაწმინდა ისე არავის ერგებოდა, როგორც ამ წმინდა მთას...

6.

რა გავლენა შეეძლო რუსულ მწერლობას, როგორი იყო მისი სული?

ეგუებოდა ის ქართულ მსოფლმხედველობას?

ვიაჩესლავ ივანოვი ამბობს: რუსული ხელოვნება იმის მაგიერობმ ყოფილიყო ყვავილი, იქცა ხორბალად. მხატვრობა გადაიქცა კულტურულ მისსიათ და სიტყვიერების დაწყებიდან მიიღო იერემიადის და სატირის სახე. ეს მისიონერობა და ცხოვრების დამრიგებლობა ამძიძებს რუსის სულს, ამახინჯებს მხატვრულ მუშაობის სიწმიდეს, ამდაბლებს წმიდა მხატვრულ პოტენციებს (როგორც ნეკრასოვი) ადამიანში ღუპავს მხატვარს (ლევ ტოლსტოი) და ღუპავს თვითონ ადამიანს (გოგოლი და რამდენი სხვა). და დიდხანს იმარხულებდა და იშუბნარბებდა კიდევ იოანესავით რუსული ხელოვნება. და დაუძახებდა თავის თავს „ხედი უღამხედი“, რომ სიმელოისტების არა: რუსეთის სიმელოისტები თავიანთ დამსახურებას პოეზიაში ხედავენ იმ ერთ უბრალო, მაგრამ იმავე დროს არაბუნებურ რთულ საქმეში, რომ პოეზია გამოყვეს ლიტერატურიდან (დამიხასოვრეს რა ვერლენის „de la musique avant toute chose“..), რომ აზიარეს ის კვლავ, როგორც სწორედ იანოვი წევრი ხელოვნებათა ფერხულს: მუსიკას, მხატვრობას, სკულპტურას და ცეკვას. უწინ ლექსები ითვლებოდნენ ლიტერატურის მხოლოდ ერთ დარგად და ამიტომ დამორჩილებული იყვენ საერთო პრინციპებს სიტყვიერ და ლოგიკა კანონისას. დეკადენტები მიხვდნენ, რომ პოეზიას აქვს თავისი ენა, თავისი კანონი და ბევრი რაჲ, რაც ირრაციონალია საერთო ლიტერატურის თვალთა ხედვით, რაციონალია, რაციონალია პოეზიაში, როგორც სიტყვის სპეციფიურ ხელოვნებაში, ან სპეციფიურ სიტყვაში, პოეზიამ დაიბრუნა ძველთა ძველი უფლება, რომელიც წაართვა მწერლობამ... (ე. ივანოვი, წიგნი: „Поэзия“).

შემდეგ გამოჩნდა, რომ რუსის სიმელოისტებმაც ვერ აიცილეს რუსულ მწერლობის იერემიადის ბედი. რუსის სიმელოისტებმაც ვათავეს ისევ „კალმიკური ხლისტობით“, როგორც ეძახის ტოლსტოის მოძღვრებას ფრანგი კრიტიკოსი ე. ლემეტრი.

დ. მერეტკოვსკი არა გულწრფელად იმეორებს ლ. ტოლსტოის ისტორიას. არც ასე გვიან ზ. ჰაიუსმა ომის გამო ცოდვად გამოაცხადა პოეზია. ანდრეი ბელი, პირველი იდეოლოგი სიმელოიზმის, დღეს ირონიით ამბობს: სტეფანე მალარმესაც ქონდა სიმელოიზმის თეორია და თეორიას კითხვით ნიშნას უსვამს და თან რუსულად მასხრობს რემი დ გურმონზე. შიველი მისი გულისწყრომა დამსახურეს ფრანგებმა მითი, რომ სიმელოიზმი იმათ იცნეს პირველ ყოვლისა ფორმის საკითხად და ფრანგული ესტეტური მისტიციზმი ვერ ეგუება რუსულ მისტიკას. ოთხი წლის წინად კი თვითონ ანდრეი ბელმ დაარსა „აკადემია პოეზიისა“, სადაც სწავლობდნენ რიტმის და ლექსის საკითხებს. რუსულ ხელოვნების საბედისწერო ბედი ერთნაირ აჩნას იღებს პ. ჩაადავიდან ვიდრე ვიაჩესლავ ივანოვამდე. ეს საკითხი საერთო კულტურის და წარსულის გაკეთილების. რუსეთი ამ მითხვევაში მოკლებულია იმ კულტურას, რომელიც მემკვიდრეობით ჰქმნის პირველებს. ეს საკითხი ელინიზმის და ბარბაროიზმის ძალიან ძველია, ვიაჩესლავ ივანოვს გონია, რომ რუსეთი მაინც აღადგენს

ელნიზმს და რუსული ხელოვნება შეიქმნება „სობორული“, მხოლოდ ანდრეი ბელიმ და მასშიმ გორკიმ როცა განსკრებიტეს წარსული ბურჟისი, ერთად აღმოაჩინეს: ყვითელი მიანგო-ლები...

7.

„მესამოციანეთა“ მწერლების იოლი ხელით შამოტანილი რუსული ხორბალი, ამო დის რუსულ ქერად. ყოველი რუსული არა თუ შკოლა, სექტაც კი იწვევს საქართველოში თავის სახეს: მონანიებული აზნაურები, ხალხოსნები, ნიპოლისტები... და ეს კიბე გრძელია: მხოლოდ გაუგებრობას შეეძლო ქართული ხელოვნების რენესანსი ამ მწერლებიდან დაეწყო. რენესანსი პირველ ყოვლისა გულისხმობს წარსულის აღდგენას, ქართულად ის აღორძინე-ბად ითარგნება. ისტორიული რენესანსი იყო ცდა ანტიური ქვეყნის აღდგენის აქ თუ შედეგი არ არი საინტერესო, ყოველ შემთხვევაში საინტერესოა თენდეცია, რადგან ეს აზრი არ მომკვდარა ვიდრე ნიქშემდე. ქართველმა აღორძინების მეთაურებმა კი სამუდამოთ დამაჩხეს ძველი საქართველოს ტრადიციები, და უკანასკნელ დრომდე შექმნეს იდეური ტერორი წარსულის წინააღმდეგ: აკაკის და ილიას ის უპირატესობა ქონდათ, რომ მოქალაქე-ობრივ მოტივებში ხანდისხან ნახულობდენ ნამდვილ პოეზიას, შემდეგ მათმა შკოლამ მიიღო ქარიკატურული სახე. და დღეს უიმედოთ გაპკივის მოქალაქეობრივ აზრმა შკოლამ მიიღო კვლავ უნიკო, უსახო, ენაბლუ; ვისაც ხელი არ ელღება, სტანჯავს დღეს ქართულ პოეზიას. რუსული ხელოვნების მიზანძეა და გაელენა ასე დიდია, რომ ქართული ტეატრის კრახისზე ლაპარაკობენ, მის დაარსებიდან ჩვენ დღემდე და იდეალად აღებულია „რუსეთის სამხატვ-რო თეატრი“, რომლის ნედლი ნატურალიზმი, უკვე მომხზრდა თვითონა რუსებმა, სადაც ყოველი ცდა ახალი დადგმის თავდება აუცილებელ ფასითი, სადაც მხოლოდ ა. ჩეხოვის პროვინციული ქალიშვილები გრძნობენ თავს თავისუფლად და გულმოკერებით სტირიან. თითქო ქართული აქტიორული ბუნება და თეატრალიზაცია ცხოვრების არ გულისხმობდეს ქართულ თეატრის მომავალ ბეღს. რუსული გავლენა უფრო განმტკიცდა მის შემდეგ რაც ერთად მოვიხადეთ რევოლიუციის ცხელება. იყო ჩვენი ცხოვრება, რომელიცია ნამდვილი რევოლიუცია, როცა ძირიანად იმარგევა ერის სული, როცა ერის სული შეიარყევა მთელი სიღრმით? ამის შესახებ არაფერი თქმულა, ჯერ კიდევ დიდია ამაზე ძველი ცენზურა—ამ შემთხვევაშიც უაღრესი გამოცემა იყო ერის სულის, აქ პირველად გამოჩნდა მთელი ევემე-რობა რევოლიუციის საქმის ეროვნული თვალთა ხედვით და აქ ერთი ამის მონაწილეობაანი, რომელიც სიმღერას იჩემებდა, საშინელი კატასტროფის შემდეგ, რომელიც იმას უფრო ეხებოდა, საქვეყნოდ აღიარებს ცოდვას. რევოლიუციის შემდეგ ყოველი ძიება ეროვნული სულის და მონობის წინააღმდეგი აქტი იოვლება დემოკრატიის ლალატათ. ქართველმა საზოგადოებამ რევოლიუციის საქმეში შეიტანა მთელი თავისი ფიცხი სული, თანატიზმი და არ ტყუებოდა მაშინაც კი, როცა ყველა ხომალდები დაიწვა. რუსის ცენტრალურ მთავ-რობას, რომ ისეთი გამარჯული ბგენტები ყოლოდა საქართველოში, როგორც რუსეთის დემოკრატებს, ამდენხანს საქართველო არ იქნებოდა, თუმცა არც ესაა არის ცუდათ საქმე, რადგან რუსული საქმე და იმპერიალიზმი დემოკრატიული სოლიდარობის ეგედით უფრო მოსატყუებელი მიზანია...

8.

რასაკვირველია ჯერ კიდევ არ გათავებულა შაბაში პოლიტიკურ ტურების. დემოკრატობა ჯერ კიდევ ითვლება გონებრივ სილატაკის სინონიმად, მაგრამ ეროვნული ძიება მიანც იმარჯვებს. „უზრდელი კინტობი“, რომელთა კლასიკური აწერა მოგვცა ნ. ნიკოლაძემ, რომელნიც უწინ მესაქეობდენ პოლიტიკურ ცხოვრებას, დღესაც არ ანებებენ თავს პოლი-ტიკას და მწერლობასაც უწევენ ხელსა, ხოლო რთული გამოირკვა და ამაღლდა იმდენად, რომ დაღვა საკითხი ავტონომიის; ეს გულისხმობს მორარულ ავტონომიის აგრეთვე პიროვნების და მწერლობისთვისაც. ამ შემთხვევაში ეს ფორმულები ერთად წამოაყენა არჩილ ჯორჯაძემ, რომელმაც განიცადა თავის თავზე თელი ტრადიციის ეტცრა-მეტე საუკუნის საქართველოსი, დასამახსოვნელია ის, რომ არჩილ ჯორჯაძე, რომელიც ყველაზე უფრო იცნობდა მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივ აზრს, ქართული ფლო-ნოფისი გაწყვეტოლ ძაღის შეკვრის და ქართულ ეროვნული აზროვნების რესტავრაციის უკავშირებად იმ სახლს, რომელიც გამოდის სიმეოლიზმის შკოლის მეთაურათ. „ცისფერი“ როგორც შკოლა თავის თავს ამტკიცებს ეროვნულად. ინდივიდუალიზმი, თავი-სე შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც დღეს ქადაგებს ეს შკოლა

საქართველოსთვის არ არი ახალი. ზუსთაველის და ბესიკის შემდეგ ამის მტკიცება თითქოს გაუგებრობაა. რასაკვირველია ბევრია კიდევ, რაც შკოლას აძლევს ახალ ფერს, რაც აღნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მეოცე საუკუნეში, რომ ნერგებთ უფრო მეტნობიარე შეიქნა და ქალაქის სული ვერ იკუთხებს მთლიანობას ბუნებისას. ლექსის ტექნიკამ იქამდე მიიღწია, რომ ანბანებს მისცა საღებავი, რომ შთელი რიგი კულტურულ მოღწევათა ხელოვნების წინ აყენებს ახალ პერსპექტივებს, რაც შეძლების დაგვირად განიხილავს „ყანწებში“ მონაწილეთ. მაგრამ მთავარი დებულებების გაშართლება წინაშეა ძველ ქართულ პოეტიკაზე დაყრდნობით. ჩვენ უარს ვუბნებთ ჩვენს ახლობელ უნივერსიტეტს, რომელმაც დაგვირადცის არ აკმაყოფილებს, როგორც საზოგადოთ ხელოვნების, ისე ქართული ძველი ხელოვნების მოთხოვნილებათ, მაგრამ აქედან კიდევ შორს არი წარსულის არ მიღება. მე წინდაწინეე ვგვრძობ კითხვას, მაშინ რა არი ახალი ახალ შკოლაში, თუ უმთავრესი დებულებანი წარსულით მართლდებიან?

ეს კითხვა დაუყენეს ფრანგ სიმვლისტებსაც, ჩვენი პასუხიც ისეთია, როგორც ფრანგი სიმვლისტების: —**ახალი ის არი, რომ ჩვენ მოგვცა ის, რაც თქვენ გქონდათ გაუფრთხილებლობა და გვეჩვენებიათ, რომელსაც, რასაკვირველია თან ემატება ახალიც.**

ვინ არი დამნაშავე, რომ გათამამებული სირაჯები დღეს რყვნიან ქართულ პოეზიას?

9.

საზოგადოებრივი და ხელოვნების კრიზისი ერთმანეთს გადაეწნა. რუსულ გავლენამ ქნა ის, რომ შეიქნა ყოზილბაშური თეორია, სადაც მტკიცდებოდა რუსეთის კულტურტრეგვირობა საქართველოში და სრულიად შემთხვევით არ იყო, რომ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის დატეხის საკითხი რევოლუციის მეორე დღეს დაიგა. ბვერი რომ ითქვა მაშინ ამის მიზნად, უმთავრესისთვის, რასაკვირველია ყურადღება არ მოუქცევიათ. გაგრძელება იყო ამ საკითხის და იმავე პასუხი, როცა გრ. რომაქიძემ ლექცია წაიკითხა ოსკარ უაილოდზე, არჩილ ჯორჯაძე მის საკამათო წერილში სწერს.

—**რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობისთვის უაილდის შემოქმედებას? ჩემი აზრი ზოგიერთს პარადოქსად მოეჩვენება. უნდა ვსთქვა, რომ დღეს გეტასკიროვება გაბედული მხატვარი, დიდი ოცნების პატრონი, რომელიც გულში სევდას ატარებს, თავი კი გაშუქებული აქვს ღრმა და ფართო აზროვნებით... ჩვენ გვესაქიროვება, თუ შეიძლება ასე ითქვას სინტეტიური სურათი ქართული ცხოვრებისა ამ სინტეტიური სურათის შექმნა შეუძლია დიდ სულოვნებას, დიდ ოცნებას და, თუ არ გამიწყრებით, „მშვენიერ მატყურობასაც“... არჩილ ჯორჯაძეს შესაძლებელად მიაჩნია, რომ ხელოვნება სძლეე ეროვნულ პარტიკულიარიზმს, ოცნებით ფრთა შესხმული, სიცრუით აღფრთოვნილი რეალური ცხოვრების შემოქმედებითი შევსება და განმარტება იქნება. აქ სამახსოვროა, რატომ უნდა ატარებდეს მხატვარი დიდ სევდას და რატომ უნდა იყოს ფართო და ღრმა აზროვნებით გაშუქებული თავით. ეს გამოტანჯული აზრებითა და შემდეგ აისხნებიან. რასაკვირველია, ზოგს კი არა ბევრსაც ეჩვენა „მშვენიერი ტყუილი“ დაცვა პარადოქსალად ამგვარი დაცვებით. მაგრამ ამგვარი დაცვება საკითხის მიანიც გულისხმობს ერთგვარ ჯადო-წრეს, რომელშიც იშლება ჩვენი მწერლობა. ხოლო დღეს იწყება ძირიანად შეცვლა ქართული აზროვნების, საუკუნოებით დამრდილული წარსული ცოცხლდება და საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრადიციები დგებიან, დამონებული სული უბოუნდება თავის ძველ ბუღს. რამდენადაც გაიზრდება ეროვნული შეგნება, იმდენად ჩვენ ვუახლოვდებით წარსულს და ინაკვებება ქართული იდეა. საქართველოს ხელოვნების მომავალიც ამ იდეის განვითარებით გაიზომება.**

უნდა მოხდეს ეროვნული აღდგომა. მაგრამ აღდგომა არი ორიანი — ელონინიზმზე ანდგარი ახალი საბერძნეთი სიკვდილზე უარესია, საქართველოს ყოველთვის ერჩია ცოცხალ ძაღლს მკვდარი ლამი და ამიტომ საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლამის ძველი ქართული იდეით. მაშინ არ იქნება საჭირო „მშვენიერი ტყუილი“, რადგან ეროვნული აღდგომა იქნება დიდი სინამდვილე, ქართველი მხატვარიც ნახავს მაშინ ოთხი ანდგინანს დაკარგულ სულს, ნახავს და გაიხარებს, ეს იქნება უდიდესი საწაული (სასწაული იქნება...

მინ! მ. ვახუშტაძე



ჩივიან „ქალღვას ყალბაქში“.

გრძელია ეამი,—ღედელმსახურებს რაც ჩემი გვარი.  
ვინ დათვლის წირვას, რაოდენი გამოიყენეს!  
ახლაც ეზოს წინ დაღვრემილი მოსჩანს საყდარი:  
ეს გერბი არი ამაყ მგოსანს რომ დამიხატეს.  
ლოცულობს მამა, მწუხრის ლოცვას მუნჯად ვუცქერი:  
ფსალმუნის სულში შეფრინდება დამარხება...  
შეე ანაფორას მეწამული გადაკრავს ფერი  
და ეხედები ახლა, თუ ქალდეა რად მენატრება!..  
ყვითელ სანთელზე მაგონდება მე მზე ბრწყინვალე,  
მზის სადიდებლად აზიდული დიდი ტაძარი:  
ზეიად ქვის სვეტებს თითქო აღნობს ჰანგი მხურვალე,  
და მღერის მოგვი, ვინც რომ ჩემი დაიწყო გვარი.  
ასე აღიდა წინაპარმა ასტარტა მწველი,  
მადონნას ქება ახლა მამის ასელებს წვერებს,—  
არ დალეულა ჩვენ მოდგმაში ჯერე მლოცველი  
გადახდით წირვის დათვლა თვითონ ღმერთს დააბერებს!  
წინაპართ ჩრდილნო! არ დაგწყვეტო გულს ჩამომავალზე,  
მე მამბებლებენ. რომ მხედავენ ჯერე ასე მშვიდს.  
და თუ ველარ ეტკვი ლიტურღია მე თავის თავზე,  
ქეყანას მაინც გადაუხდი ერთხელ პანაშვიდს...

4

და მე ხანდისხან მჩვენება, ვითომ სამყარო  
ბალია დიდი, დაწყველილა და შხამიანი.  
მძიმე მხედარნი, შუბლ შეკრული და ჟაბჯარო  
მოჭრიან რემბო, ერედია, ემილ ვერხარნი.  
თითქო შეცდომით შემოიყვანა ვილაცამ ბალში.  
და შიშით ვხედავ გიგანტის ჩრდილს, მიმფრინავ მხედარს.  
ულონო, სუსტი ავტირდები პატარა ბავში  
და თან მრცხენია, ვიხედები, თომ არვინ მხედავს!...  
როგორ აბრუებს დამწველ შხამით ყვავილები სულს,  
თითქო მორბიან გიგი რბენით აქ კენტავრები.  
ცხელი უდაბნო უფრო ცხოველს უძახის წარსულს  
და ცას ეწვება, როგორც ძველ სახლს, ცეცხლში ყავრები.  
ვინ მომიყვანა, ვინ შემოიშვა ამ ბალში ბავში,  
დამწვარ ქალაქის ვინ აუშვა ჩემ სულში ბოლი?  
რად ისერის გძელ ჩრდილს მიმფრინავი ამ მხედრის რაში  
უდაბნოში ვარ, მაგრამ რაა ეს მწვანე მოლი?..

ღვნიშა ღვირუბისღურა.

შოდა—ღარულა—

თეთრი რუ მთაში—

ძმებო და მეგობრებო! ვინ ლებაეს შავად

ჩვენი ფიქრების ქაფიან ჩანჩქერს ამ ჩრდილოეთის ერ თვერობაში!

ჩვენი ფიქრები,

ჩვენი თეთრი ფიქრები—ვინ შემოსა შავად!

ღარულა და შოდა!

აი იქ—თქვენთან—მუდამ ერთთვად

მოშხუის შხივი—ირხვეა მთის პატარა ლერწამი—

მაგრამ სულ ისე—ისე ერთთავად

გათავდებოდა ყველა—ყველა ამბები—

მაშ რალას ელის—რას კითხოდა ეს წამი—

რას გვათართოლებენ ჩვენც თქვენი ხმები—

თეთრი—

მოჩვენებასავით თეთრი ხსოვნები—თეთრი ფიქრები!

რას დაგვფარფატებს სულის ამხსნელი

თქვენი ზურმუხტის ფერი ხმების აჩრდილი

და სევდის ალით რას გვათართოლებს უკანასკნელი

თქვენი კვლავ ნახვის ცხარე სურვილი ცამდის აწვდილ!

თქვენ ჰა—იქა ხართ—

მზის ჩქერებში ხვევთ თქვენს თოვლს და თქვენს ბროლის ჩქერებს—

ხოლო ჩვენ ყველა

ბინდის ბალის ჩუმი სტუმრები

ხარბათ ვსვავთ მხოლოდ თქვენს ფირუხ ხსოვნას და თქვენს სიმღერებს,

რომ ოცნებებში ვამაზუროთ ცეცხლის გულებით.

ყოველ წუთს—ყველგან—აი ამ თქვითაც

თქვენკენ მოფრინავს ეს მიწითური

ცხელი ხმა ჩვენი ყოფნის სიმისა

და გულზე გვცვივა ლოცვა ციური

ქვეყნის ცრემლების ჩუმი წვიმისა.

ირხვეა ოკეანე—უკუნეთი. შიგ საცოდავად ფართხალობს გული—

ობოლი—

შემკრთალი შევლივით მინამული გული—

და იბნევიან ჩვენი მზურგალე რწმენის ნავები

უფსკერო ტბაზე—

იქ—სადაც სდუმან სალოცავები—

სადაც დნებიან გედისფერ ხმაზე

უწმინდეს ფიქრით ნასათუთევი

ჩვენი ღრო-ჟამი—ჩვენი წუთები.

ღარულა და შოდა—

სიხარული ჩანჩქერ-რუებით!—

ძმებო და მეგობრებო! ვინ შემოსა ლურჯ ჩეროებით

მზითურ ფიქრებით ნასათუთევი

ჩვენი ღრო-ჟამი, ჩვენი წუთები.

ჩვენი ოქროს ღრო—ოქროს წუთები..:

აქვთ ძეგლები.

თეთრდება ღამე თვალ უწვდენელ ქვაფენილებში.  
საგახაფხულოთ იმოსება ქალაქის ღამე.  
ეთეთრდები მასთან და ვირევი ქუჩის ქალებში,  
თითქოს შევირთე გაზაფხულთან მზის სითამამე.  
ნელინელ ჩემთან მოდიან და მიწვევენ სახლში:  
არსად არ წავალ. ვენებისათვის ფართია ქუჩა,  
და მეც მოვირთე ტანსაცმელში ძვირფას, ახალში  
და ბინის კარი გაზაფხულმა დააჩაქუჩა.  
საენებო ღამით, გაზაფხულში მეც გაგზაფხულდი  
და ყველასათვის ავანათლე ჩემი სახემა.  
ღამის ნათელზე მე სიგიჟით ავახალსულდი  
და მიწამ იგრძნო თავის შვილის შმაგი ლაღება.

 მზე.

მრავალ სხივებით გადმოყარა მზემ თავის კენესა,  
ქვეყანა იწვის, რომ უყურებს ლალისფერ ორსულს:  
წითელი მთები დასწოლიან ტყის სიმწვანესა,  
ინთება მიწა და ვერ იტანს ტანჯვაში მოსულს.

ცისფერ საწოლზედ ასენია მზე მშობიარე,  
წითელ ღუმილით გარინდულან მთის მწვერვალები;  
დღეს ცეცხლის ტანჯვა ყველასათვის საფრთხობი არი,  
მზეს, გაგიჟებულს ვერ უძლებენ მიწის თვალემა.

წვეთ წვეთად იწვის მშობიარეს ნატანჯი ოფლი,  
სხივებით მოდის და აცეცხლებს დამდნარ სახეებს.  
ცხელ დედამიწას თავს ეყრება ყვითელი ქორფლი,  
ქარიც ზანტდება და ღუმილით ეყრდნობა ხეებს.

დრო დადგა შვების და აინგრა ცისფერი ზეცა,  
წითელ ზოლებით დაიხაზა მზის სარეცელი,  
ლანდების კენესამ მშობიარე სულ გაამხეცა,  
სისხლის სიგიჟემ მათი ნახეაც არ დააცალა.

ზანტი ნაბიჯით გადმოვიდნენ ლანდები ქვევით  
მზიდან შობილნი ირევიან მზის მეგობრებში,  
მოქანცულ დედას აძინებენ ტანის ნაზ რხევით,  
ქვეყანას დალილს ასვენებენ უცხო სიზმრებში.

ზეცის დასავლეთს დაქცეული სისხლი ანებდა,  
სისხლის შავ ფარდას ველარ იტანს ბრწყინვალე თვალი.  
ნელი ნელ მოდის და ახლოა მზის დაღამება.  
სცილდება მიწას ცეცხლის ტანჯის ვრცლათ ნავეშვალი.

ზამთარი.

უეცრად მოვიდა შეშლილი მოხუცი  
და თეთრი მერანი მინდორში დააბა.  
გედების გუნდია ყველგან დანახოცი.  
ქვევით ტაძრებია და ზევით კააბა.  
ბროლისფერ კბილებით იცინის მერანი:  
ძარწიან და თრთოლავენ მდუმარე ველები,  
გრძელ გიშრის კუბოში ვერ ჩნდება ვერავინ,  
სისხლს სწოვენ მძინარ სახლს ფრთათეთრი გველები.  
ბნელეთში დგებიან შავ წვერა ლოთები  
ყვირიან და ხევენ უსაზღვრო ბალიშებს.  
ფირუზის უდაბნო მით შენაშფოთები  
მრისხანე ლომივით ღრიალებს, არ იშვებს.  
გედების გუნდია ყველგან დანახოცი..  
ქვევით ტაძრებია და ზევით კააბა...  
უეცრად მოვიდა შეშლილი მოხუცი  
და თეთრი მერანი ჩემ ბაღში დააბა.

## ალ. სირმაქიძე

მიგარეული.

ქალაქის ბალის ქლექიანი ხეები ინაზებინ მთვარის ნათელში. ხან და ხან  
ავთმყოფური თამაშით მთვარის შუქს ტოტით დაუფარავენ გიყს, ნარვალში  
რო კოლოფებს აგროვებს.

ნახავს კოლოფს, გადაშლის და მთვარეს შეუშვერს. სასეა სალარო სიზმართა  
დედოფლის და უხვად აბნევეს ოქროს შუქს მტვერიან კოლოფში. გიყი იცინის  
ხალისით. ავებულ კოლოფებს კეტავს, ფერად ქალღღებში ხევეს, უბეში ინახავს.  
ბერი კოლოფია ბალის ნარვალში. ყველა აილო გიყმა, ყველა გაავსო  
მთვარემ, პირდაპქენარ დედოფალს რო გავს ცისფერ ფარჩაში. უხვათ აბნევეს  
ოქროს შუქს ქლექიან ხეებს და ბალის ბილიცებს; ტაძრის გუმბათიც მოოქრუ-  
ლია; სიკვდილის წინ თავის სიმდიდრეს ანიავებს სიზმრის დედოფალი—მთვარე.  
ჩქარობს გიყი. კოლოფებს ავსებს, ფერად ქალღღებში ხევეს.

შუა ქუჩაში ლანდვით მიიპარება გიყი, რომელსაც უბით მთვარის სიმდიდრე  
მიიქვს.

დამწვარ დუქანში ღამეს თვალი დაუხუქავს. იქ ნაცარში დაჯდა გიყი.  
ამოალავა კოლოფები. კრძალვით გახსნა პირველი: ცალიერია. მეორე  
გახსნა,—იმაშიდაც მარტო ღამეა. აქანკალებული ხელით შეეხო მესამეს,—  
მთვარის ნაჩუქარი აღარც იქაა.

ეტკინა გიყს. ატირდა.

ზღაპარი.

ტორიო — მხარობელი ტყუილად ვე ჩამოიჭრა, მამა ღმერთი მობრძანდება და მოემზადეთო.

ლრუბლები მიიმალა; ცა ვაფთირდა; მთამ კვიპაროხები შეკოშნი და კელატრე-ბათ ჩამოაღწია; აბრკუყვილდა ცვარი; ერთი განაბა სული ყოველმა და ისევ ამღერდა არე, ავალობდა ბუნება; სარკეთ გაქვავებულ ტბაში კელუცობდა, ირთვებოდა ტირიფები; თევზებიც კი იგემებდნენ მკრთალ სხივებს, მძლავრათ შეათამაშებდნენ კუდს, მიჰყრი-მოყრიდნენ შხეფს და ჩაიძირებოდნენ, რათა ნადიმზე მოეწვიათ ჯურღმულში დარჩენილი მეგობრები.

და მზე აღმობრწყინდა შედიდურათ.

ტბის ერთ ნაპირზე შეირხა კალამი და ლერწამი და ნელა მწყობრათ მომცურავი ოთხი თეთრი გედი გამოჩნდა. ფრთები ერთმანერთის ზურგზე გადაედოთ და მოჰყავდათ მხარ-თემოზე წამოწოლილი შეთმინანი თეთრი ქალი.

ტბის ნაპირას იდგა ქაბუღიანი ირემზე მჯდომი ყრმა. შიშველ ტანს მხარზე უღარდელათ გადაგდებული დათვის ტყავი ოდნავ ჰფარავდა. ხელი ირმის რქისთვის ჩაეკიდა და ხმა მალღა უძახდა ტოლსა და მეგობარს.

განცხრომაში მყოფი ქალი ყრმის ხმაზე შეირხა, გედის-ყელისებური მკლავი მის-კენ გასწია, და ცოცხალი მოჩილი ნავი მშვენიერი დედოფლის სურვილის-მებრ გასრიალდა.

ყრმა მარდათ გადმოხტა ირემზე, ცალი ფეხი წყალში ჩასდგა, გედთა ფრთებში მეოცნებე ქალწულს ხელი მოხვია, მ-სასხამი მოღზე გააგდო და ქალი ზედ დასვა. — შენ ვინა ხარ? — დაეკითხა ქალი.

— როცა შეველს მივსდევ დასაქერათ, სიყვარულივს მეძახიან ჩემი მშობლები და როცა ნაჯახით თავგაპობილ ვეფხვს მთიდან სახლში მივათრევ, ჩენო ნღვემოვო, ხელს მკოცნიან სოფლები.

— შენ კი რას გეძახიან? დაუმატა ვაჟმა.

— განცხრომას. სიყვარული კი უფრო მომწონს სახელათ.

ქალ-ვაჟი ადვილათ შეეხმატვილდნენ ერთმანერთს. მხარი-მხარს გადახვეულნი ცოცხალ ქანდაკებათ ევლინებოდნენ მშვენიერების მოტრფივლეთ. ილაღეს და ისერიანეს.

კლდეს მიაღწენ.

— მალღით ჩამოვარდნილი, აქაფებელი ჩანჩქერები თეთრს, გავენტილს, სხვივებით დასერილ ღრუბლის ქულასა ჰვავს, რომ შხუილი და მაგრილებელი სიო არ ანელებდეს შთაბეჭდილებას — თქვა ქალმა.

— მშვენიერება! ტაძრათ ეს ადგილი, კერპათ შენ!.. ღმერთი კი ისე გულგრილათ დაგცქერისთ, თითქოს მისი შექმნილიც კი არ იყოს!... — ჩამოართვა სიტყვა ქაბუქმა.

— რას სწმნავენ რას ბოდავენ! — ხველებით წაიჩიფჩიფა ვილამაც... გამოფუტუ-რებულ, დაკრილულ ნაცრისფერ ხეს და მის ხავსით მოსილ ფესვებს ისე შე-ზავებოდა, რომ ძნელი გამოსოცნობი იყო მოხუცი.

— განა ვერ ხედავ? — გულ ნატყენი დაეკითხა ვაჟი მოხუცს.

— ვხედავ, დიდაც ვხედავ, რომ წალკოტში ვცხოვრებ, ბუქულზე ვწევარ, მაგრამ თან ვგრძნობ თითქოს ირგვლივ სილის ზღვა ტორტმანობდეს და ცას

დამდნარი ტყვია გადაეცვას. მივდივარ ამ უდაბნოში ჩემათ, მიმაქვს ჩემი მწუხარება და როცა სრულიად მარტო ვრჩები, მაშინ ვიძახი:—

—ნუ დამივიწყებ...

—მაშ შენ შენს ძველ სიცოცხლეს, სიყმაწვილეს უყვივ, მოხუცო, და ეხლანდელი მამბურათ გეჩვენება?...—დეკითხა ქალი.....—და მოგონება ცოცხალ სურათს გირჩენია?!

—არ მირჩენია, მაგრამ აწმყო რომ არსად არი?!...—ჩაილულღულა მოხუცმა..

—თავლი უგემურათ გეჩვენება, ყვაეილის დაყნოსვა არ გსიამოვნებს და მოკედელი ცა არ გზიბლავს... მაშინ....

—სჯობია განა სიკვდილი?!—მწარის ღიმილით ჩამოართვა ქალს სიტყვა მოხუცმა—მაგრამ ჩემს ნებაზე სიკვდილიც არ მოდის.

სიყმაწვილე და განცხრომა...—ქალ-ვაჟი უხერხულობას გრძნობდენ. სურდათ მიმალულიყვნენ.

მოხუცმა შეამჩნია.

—ერთი სათხოვარი მიქვს.. ამისრულეთ... დიდ დაბურულ ტყვერში სრულიად მიტოვებული, ტიტველი ადგილი არის. ამომწვარ გვემბრასა და ანწლის შუა გამხმარი წიფელა და რცხილა სდგას. გატრცველი ტოტები ადამიანის ხელის ჩონჩხსავით ცათა აქვთ აპყრობილი საყვდრებლათ. მაგრატელას გამხმარი უღროებით შეუხლართავს ტოტები და ხის ტანიც დაუფარავს, ვითა ძაძების ნაფლეთებით. აი, იმ ხეთა ძირში ვამითხარეთ საფლავი და უქუბოთ, სულდარაწი გაუხვეველი პირდაპირ, დედამიწაში ჩამაგდეთ. ზევიდან დამქანარი ფოთელი, შემოდგომაზე ნიაფ ქარისაგან სოფელ-ქვეყნად ნატრიალბი ოქროს თოვლათ რომ წამოვა, ის დამყერება. ნუ დამადბეთ ლოდს—მიძიმე ლოდი მწუხარებისა მედვა გულზე ჩემი წუთისოფელი და საქმარ სიმძიმეს—სულს ლოდს—სევდას წავიღებ თან.... ასე, მჩატეთ, იქ, ხეთა ძირში, ვიპოვი მე საუკუნო განსვენებას. ეს კარგი იქნება!.. —არა, არა. მოხუცო, ვერ შეგისრულებ მაგ დავალებას. არ შემიძლია მიწის გათხრა, მხა საფლავზე მოგიტან მხოლოდ სურნელოვან ცოცხალ ყვაეილებს, მწვანე ცოცხალ ტოტებს. ნუ მიწყენ მოხუცო, არ შემიძლია. წავიდეთ—მიუბრუნდა ქალი ვაჟს.

მზე ჩავიდა. ერთხანს წითელი მოსასხამის კალთები აშვენებდა ცის კიდურს. მოლოდინი მამა-ღმერთის გამოჩენისა განქრა. დადუმდა არც მშვიდობიანი ბინდ-ბუნდი გამეფება. მოდუნებული აღერსის ელფერი გადაეკრა ცოდვილ მიწას. აქა-იქ აინთო ვარსკვლავები. ნაზი მანათობელი ნელა ამოცურდა და მისუსტებული მახის ცემა მსოფლიოსი ტკბილ მკმუნვარებით აღავსო.

მოხუცი მიაჩერდა, მიაჩერდა ტრედისფერ ცაზედ დედოფლურის რხევით მიმავალს, თერთის ღრუბელის ჩადრით ნაზათ შემობურულს მთვარეს და ნელა ჩაილაპარაკა:

—შენ, შენ მაგონდები ლამაზო, უკანასკნელი წამის მშვენიერო დამატკობ-ბელო და, როცა შენ მაგონდები, თვალთა წინ მეშლება ქვითი (აფარულთ აღლვებული ზღვა, ჩემო ნუგეშო!

ზლაპარ იყო, ზლაპარ იყო,  
ოილეს ჩიტი ჩამხტარიყო;  
ნახევარი გამხტარიყო,  
ნახევარი დამხვეალიყო;  
ზევით დავდე დამპალიყო,  
ქვევით დავდე გამხმარიყო;  
დიდ ქვაბში არ ჩაეტია,  
პატარაში არ კმარიყო;  
ასი კაცი ვერ შეჭამდა,  
ერთი კაცის ლუქმა იყო.

პაქოლზღანჯი.

Présant à Marica.

მტკიცე და სუბუქი,

უტყვი და მორჩილი ჰქანაობს იგი.  
ფართქალობს, ძიგძიგობს ელდის კანკალით ძარღვდაქიმულა.  
— მაშ, მოდი, ჩემო! ჩემს გვერდით დაჯექ...  
ქშინავს დაჰბორგავს.

ველარ იჭერენ.  
ელის თვის მხედარს, მასავით უტეხს,  
საბედისწერო თინის ამყოლს და გადამკიდეს.  
— აჰა, შადა ვარ!

შეკრთა, შეირბა.  
ო, იცნობს, იცნობს მხედრის რკინის ხელს.  
მყის აიგრუზა—  
გმინავს. მდინარებს.

ტორტმანობს. ფოფინებს.  
ირხევა. სცურავს.  
ირყევა ცის სფერო. არე იშლებს.  
საღლაც შორს რჩება დედამიწა,  
შავს უფესკრულს ინთქმის.

ჰეუგუნებს. მიჰქრის.  
ელავს. ციალობს.  
სულ მაღლა, მაღლა—  
კისკასა სივრცეში შლის უღალავე ფრთებს.  
ძირს, შავ-ბნელ ჯურღმულში,  
ტრიალობს ცხოვრება, მძიმე და რუხი,  
ქონდრის კაცები, ციდანტკავლები  
რალაცას ეძებენ, დაძრწიან, შფოთავენ.

ქიანქველთა ხრო...  
ჰო, ღმერთმანი!  
მათებრ ფუსფუსა, მათებრ პაწა და დიდბარგიანნი.  
რისთვის იღვწიან? რას დაეძებენ?..

— მშვიდობით, მიწაზე, ცდომის საფანეე!  
— ველარ დაგვედოს აწ შენი ხუნდი!  
სულ მაღლა, მაღლა. მზისაკენ.  
თვალის მომჭრელ სინათლისაკენ.  
ჰეუგუნებს. ოხრავს.

მჩატდება ხორცი. სული ზეიმობს.  
კვდება, მკრთალდება რაც მიწის იყო.  
— აჰა ხარ, ჩემო?  
— შენთან ვარ, შენთან!  
ოჰ, ნეტარებაე!

ერთად შეკრულნი, შემტკიცებულნი  
მიეფრინავეთ ეულნი. მიეფრინავეთ ლალად.  
შქრალი ზეფირი ფრთებს ასხამს ტაიქს,  
ათრობს, ავიებს უსაზღვრო სივრცე.  
უსაზღვრო სფეროს თავს დავფარფატებთ.

არე დავგეშეთ მოკალით სივრცე.  
ქამი განვდევნეთ საბრუნავიდან.  
თვითვე ვართ ბოლო და დასაბამი  
დროს გავუსწარიტ, ველარ მოგვევლება  
თმაშევერცხლილი მწუხრის დაისი.  
— ვინა ვართ, ვინა: ღმერთი თუ ღემონი?  
სისინებს, მიჰქრის.

ზეირთობს. ჰქანაობს.  
ნუ მკითხავ, ვინა ვართ!..  
ნანობს გრძობა მზის მწველ დისკოს ქვეშ—  
მისკენ— მზისაკენ!

სულ მალა, მალა.  
ის მოგვანიჭებს ნანატრ სრულყოფას.  
მიეც სადავე, აღმართე აღრა.  
აუშვი ქინი უტეხი სრბოლის,  
მიევეთ გულისტქმას.

რად გეინდა ზოგვა—ნაძრახი რიდი!  
დაგვასამაროს თავდავიწყებამ.  
ერთია მხოლოდ ბედნიერება:

ვისი სახელი—ჯანსაღი ენება!  
— კვალად გცემს სუნი დედამიწისა?

— ჰა, ჰა, ჰააა... ტალახის გუნდა,  
მაცინცველთ ბუდე, სად ჩაიკარგავ!

დაინთქა საზღვარი.  
ლტოლვა გარგილდა.

მიუჭდა ტკივილი,  
ნალვლი ორობის.

— სადა ხარ, ჩემო?

— ერთი ვართ, ერთი—

ვინ სთქვა: შენ და მე!

ერთიქმნა სული. ხორცი შეწვერდა  
ორმაგი გრზნებით იშვა ერთარაი.

ორნი ვართ ერთი: შენ და მე.

— მალა და მალა, ცის ზენიტისკენ!

— ვინც შეგვათვისა, ისევე დაგვარჩენს!..

საქედახრილი, აფრააშლილი  
მიჰქრის მანქანა უწყვეტის რკალით.

ანცი ლიცლიცით, ნაბეღვიალივით  
კრთიან პლანეტნი ჩვენს ფერხთა ქვეშე  
და სასწაულებრ ჩვენც მათ სვლას მივდევეთ,

ერთი დავგედვა ყოფნის კანონი:

უთვალავ სფეროს, სანაქსრიალში

გამოიხატა ჩვენი ორბიტოც და...

თვალმომპრელი სრბოლა-კაშკაშით

იწყო სრიალი ახალმა სფერომ

აწ არსებულთა წონასწორობი...  
ვარსკვლავთ მრიცხველთა მას უწოდეს უცხო სახელი,  
რომელიც ასე ითარგმანების:  
მძლე სიყვარული.



ქალაქში სიციხე იყო. რეტიან ფიქრებს  
მზე აწვალბდა და აღრჩობდა ცხელ ნიაღვარში;  
(აგია, როცა წითელ გველებს მზე შემოიკრებს,  
და დაიქცევა მკბნარ სისხლათ ქუჩების ღარში).  
ქალაქში სიციხე იყო. ეტლები ქროდენ  
მზე! ემღუროდენ მოკეტებულ ნეტარებისთვის;  
მხოლოდ კატები ქვეყნის დუღილს შეეხაროდენ,  
რომ ინახავენ თავის ვნებას ცხელ დარებისთვის:  
როგორც დამსხვრეულ შუშების მტვერი,  
ისე ელავდა ლურჯი ჰაერი.  
და მოძრაობდა ჩქარ ელვარებით  
ხალხი მორთული ცხელ ოღარებით.  
ქარხნების ყვირილი და კვამლი ღვრია,  
ქუჩებში სნიული ძაღლები ყრია.  
ქნაიან სახლებზე ფერადი კატები;  
საყდრის გუმბათები  
ქას ეშურებიან ვით ცეცხლის ენები.  
მხურვალე ცახცახით დაჰქრიან ცხენები.  
მწვანე და წითელი ქოლგების ტრიალი  
სადღესასწაულო დროშების ფრიალი.  
ლურჯი ხავერდიან ხეების ლანდები,  
ოქროს და ძვირფასი ქვის შუშბანდები....  
სისხლისფერ გველეშაპს ბრაზი ემატება,  
ქალაქში შენაშენს ჰაერის ანთება....

მოულოდნელად მღუღარე მზის მთვრალი განგებით.  
ჰაერი აყვავილდა წითელ ფარშავანგებით.  
იყო მათი მოვლენა წითელი ქარტეხილი,  
იყო მათი ყვირილა მხურვალეთ დატეხილი.  
ფრთებზე სდუღდა სპილენძი—და კიოდენ ყვითელ ციდან,  
თითქოს ახლა ამოსცივიდენ გახურებულ ქვაბებიდან,  
რომელშიდაც სჩქეფდა რკინა;  
და ფრთებ დაშფურებს ვერ ეპოვათ ვერსად ბინა.  
და ელავდა მათი ტანი სისხლით,  
თითქოს ვინმე მოსდევდა ფარშავანგებს მზის ხმლით.  
ცხელ ჰაერის ცისფერ ხორცსა გლეჯდენ მკაცრი ნისკარტებით.  
და ქალაქში მოფურქულა გაკვირებულ მზას დარდებით,  
ქუჩებს, ოქროს მდინარეებს, აკვნესებდენ ახალ შიშით—  
და აივსო ეს ქალაქი ხმაურობით და სიგიჟით:  
ლიწინით ცვიოდენ ხეების ტოტენი  
აინთენ სახლები აღმურის მოდებით.  
ხალხი ირეოდა კვნესით და ვაგებით  
ყვირილით მიჰქროდენ ჩქარი ტრამვაები.

და ფარშავანგები ჰკიოდენ, ჰკიოდენ,  
მალალ სახლებიდან კატები სვიოდენ.  
და გიჟი ცხენები ხედვა ახვეული,  
მოსჩანდენ სვეტებზე მკერდ გადახეული.  
ოხრავდენ ჰაერში მზისგან დევნილები,  
სისხლით ატლასობდენ ძირს ქვაფენილები.  
წათელ ქარში ზართა რეკა შემოისმა ყრუ და ჩქარი.  
ყველა შიშმა გადაარეკა, მხოლოდ მკედართან მოსჩანს მკედარი.  
ცხელი ორთქლი ცრემლისფერი, მზურვალე ცას ეფინება,  
ჩუმად არის ყველაფერი, ქალაქს წითლად ეძინება.  
და სხივოსნობენ გუმბათები და ოქროს ჯერები,  
იისფერ ნისლში მღუმარებით სჩანან ველები.  
ვით დაფლეთილი, სისხლისფერი, სოველი ჩვრები,  
ხეებზე სხედან დაღალული მზის ფრინველები.

## ნიკოლოზ ნადირაძე.

ავზნაანი ქალაქი.

მე ხშირად მიყვარს ეს ქალაქი მრუში და მყრალი,  
ატალახებულ ქუჩებს მივყვები, ვუცქერ უკბილოდ დაღრეჯილ სახლებს.  
ხარბათ დავეძებ მახინჯ სახეებს,  
მკლავებში მალარჩობს მე ვიწრო კვალი, ავზნაანი და ცოდვებით მთერალი.

ავათმყოფ სახლებს, ათამანგით პირდაქმულ ქუჩებს,  
აკმევეებს სურნელს სამიკიტნო ღვინით და ხაშით,  
გიედება ღამე არღნის რწყევით, ზურნით და ტაშით,  
და ცა ლოტბარი შავად შორთული, ქურდებს და მკვლელებს  
გამოსვლას უჩრჩევს.

ძველ სასტუმროდან გამორბიან წითლათ ქალები,  
როგორც რომ ჯარი დამარცხებული, მათხოვარზე გუნდი ბრუნდება სახლში,  
გამეფდა ვნება ავადმყოფ სახლში  
ბალღამს აქცევენ რუხ ქვაფენილებს ქუჩის მნათობთა თეთრი თვალები.  
და მეც ქალაქში დავსეირნობ გიჟთა მხედარი,  
ჩემს წინ ქვეშევრდომთ გაუმართავეთ უცხო პარადი.  
ბოროტი განცდა სწეულ ფიქრის ხდება მარადი,  
მე მსურს ყოველთვის ღამე იყოს ასე ნეტარი.

## ბრ. რომაქიძე.

სონეტის ლექსი.

ახალ მხედართ: ვ. გაფრინდაშვილს, პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, გ. ტაბიძეს.

უძირო სევდა, ნელი სევდა, ვით ძილი ქვისა,  
ფიცხელი ფიჭვის, მწვავი ფიჭვის წითელი გზნება,  
უნისლო ტევრი, ხშირი ტევრი უსიტყვო თქმისა  
დამწვარი თვლენა: მყოფრო მკრთალი, დამწვარი ვნება.

ყვავილი ტრფობის, თეთრი, ნაზი, ცახცახობს, კვნება  
ნაჩქეფი აღარ ათრობს სმენას ძვირფასი ხმისა,  
შორიდან ესმის ფიცხელ ლოდინს ხმაური ღვთისა,  
იშლება სული, ერთი ნდობით ნელდდება ნება.

უფალო, ოი, მშვიდო, ლალო, მაღალო, წყნარო,  
ჩაეჭვი ჩემი სულის თასში, ვით გრილი წყარო,  
იხსნება შენთვის გული ჩემი, სათუთი ნელი.—

ვეწაფვი ფიცხი შენი სუნთქვის მათრობელ აღსა,  
ნეტარობს შენით ჩემი კრთომის ყოველი წნელი,  
გიცქერი მზე-გძელს, ერთი წამით დავხუკავ თვალსა.

აქანის სიღწე.

ვერის ხილზე მძიმე ღამით თმაგაშლილი ქარი მღერის...  
ლანდი დაჰსტვენს ვერის ხილზე, ლანდი თოვლის და ნამქერის...  
ვერის ხილზე ქარი ზუის, მწვანე ზღაპარს ანიავებს:  
ჰე! არული გაუმართავთ ვერის ხილზე კუდიანებს...  
ვერის ხილზე ქარი გივი დავლურს უვლის, სტვენს და ჰვივის:  
კინკა კინკას მისდევს ცეკვით, კუდიანი ხტის და ჰვივის..  
ვერის ხილზე ველურ ხმაზე ქარი აყრის მტკვარს სიამეს...  
სისხლის ლანდი ვერის ხილზე გულს ეკრება მძიმე ღამეს..  
მძიმე ღამით ვერის ხილზე მთვრალი ქარი სატრფოს ელის...  
ვერის ხილზე ქეიფია გამართული გივი ველის..